შოთა ზურაბიშვილი - განათლებისა და საერთაშორისო განვითარების მაგისტრი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, USAID საბაზისო განათლების პროგრამა / RTI International

საგაკვეთილო დაკვირვების შედეგები

ბოლო წლებში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, თუმცა, მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებული მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების პრაქტიკების დანერგვა კვლავ გამოწვევად რჩება. მასწავლებლები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან მოსწავლეების სასწავლო, ქცევითი თუ სოციალურ-ემოციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების დროს. სადავო არ არის, რომ არსებული ცოდნა და რესურსები არ არის საკმარისი ყველა მოსწავლისთვის მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველსაყოფად.

ზემოთაღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ, 2022 წლის სექტემბრიდან USAID საბაზისო განათლების პროგრამა ახორციელებს მრავალშრიანი მხარდაჭერის (MTSS) დანერგვის პილოტირებას 15 საჯარო სკოლაში, დაწყებით საფეხურზე. მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა არის სასკოლო და საკლასო დონეზე მუშაობის სამშრიანი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსალურ მხარდაჭერას ყველა მოსწავლისთვის (პირველი შრე), მიზანმიმართულ ინტერვენციებს იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ სასწავლო, ქცევითი ან სოციალურ-ემოციური მიმართულებით (მეორე შრე) და ინტენსიურ ინტერვენციებს იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც განსაკუთრებული სირთულეები აქვთ (მესამე შრე).

2022 – 2023 და 2023 – 2024 სასწავლო წლებში საპილოტე სკოლებში ინერგებოდა მრავალშრიანი მხარდაჭერის პირველი შრე. მომზადდა პირველი შრის პროგრამა, რომელიც ორ სახელმძღვანელოს აერთიანებს: 1) მრავალშრიანი მხარდაჭერა დაწყებით საფეხურზე - შრე 1 და 2) მოსწავლეების სოციალური და ემოციური განვითარება დაწყებით საფეხურზე. პირველი შრის პროგრამისა და მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შეიქმნა მასწავლებელზე დაკვირვების ინსტრუმენტი, რომელიც პილოტირების შემდეგ გამოყენებულ იქნა საგაკვეთილო პრაქტიკის შესაფასებლად. ინსტრუმენტი მოიცავს ოთხ სექციას - 1) კავშირის დამყარება ბავშვებთან; 2) სოციალურ - ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობა; 3) გაკვეთილის ორგანიზება; 4) სწავლება და შეფასება.

თითოეული მიმართულების ქვეშ მოცემული ინდიკატორების რაოდენობა არის 5 -დან 8 -მდე, რომლებზეც დამკვირვებელი ნიშნავს „კი“ ან „არა“ პასუხს, სადაც „კი“ ნიშნავს, რომ მასწავლებელი ავლენს ინდიკატორის შესაბამის მოქმედებას, ხოლო „არა“ საწინააღმდეგოზე მიუთითებს. თითოეულ ინდიკატორს თან ახლავს განმარტება, რაც დამკვირვებელს ეხმარება ზუსტი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. დაკვირვების ინსტრუმენტის ადმინისტრირება ხდება სპეციალურო პროგრამის, Tangerine:Coach -ის მეშვეობით, რომელიც იძლევა მონაცემების ერთიან სისტემაში თავმოყრის და მარტივად გაანალიზების შესაძლებლობას.

აღნიშნული ინსტრუმენტით საგაკვეთილო პრაქტიკის პირველადი კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სპეციალისტების დახმარებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 346 მასწავლებელმა 15 საჯარო სკოლიდან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 1) სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობას სხვა სექციებთან შედარებით დაბალი ქულები აქვს; 2) მე -3 და მე-4 კლასებში შედარებით მაღალი ქულები ფიქსირდება ყველა მიმართულებით, ვიდრე 1-2 ან 5-6 კლასებში. მე -5 კლასში ყველა სექციაში უფრო დაბალი ქულებია, ვიდრე მე-4 ში; 3) ყველაზე დაბალი შედეგები სსსმ მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებულ ინდიკატორში გამოვლინდა.

საკვანძო სიტყვები: მრავალშრიანი მხარდაჭერა, ინკლუზიური განათლება, საგაკვეთილო დაკვირვება.

Shota Zurabishvili - Master of Education and International Development, Inclusive Education Specialist, USAID Basic Education Program / RTI International

Classroom observation results from MTSS

In recent years, the Ministry of Education, Science, and Youth of Georgia has implemented reforms to increase accessibility to inclusive education, but high-quality teaching tailored to diverse student needs remains a challenge. Teachers face obstacles in addressing students' learning, behavioral, and social-emotional difficulties, and existing resources are insufficient to ensure high-quality education for all students.

To address this gap, USAID Basic Education Program has been piloting the Multi-Layer Support System (MTSS) in 15 public primary schools starting in September 2022. MTSS includes three tiers of integrated academic, social-emotional, and behavioral support. Tier 1 involves school wide programming to meet the needs of all students. Tier 2 provides small-group interventions and targeted support for at-risk students. Tier 3 offers intensive, individualized interventions for students not responding to Tier 2.

During the 2022 – 2023 and 2023 - 2024 academic years, MTSS Tier 1 has been implemented in the pilot schools. The special program was developed combining guidelines for MTSS at the primary level and for students' social and emotional development. Based on this program and teachers' professional standards, a teacher observation tool was created. This tool evaluates classroom practices in four sections: 1) Creating connections with children, 2) Promoting social-emotional competencies, 3) Organizing lessons, and 4) Teaching and assessment.

Each section contains 5-8 indicators, with observers marking "yes" or "no" to denote whether a teacher meets the criteria. Definitions accompany each indicator to ensure accurate and objective observations. Data is collected through a special application, Tangerine: Coach, allowing centralized analysis.

Scores for each indicator represent the proportion of affirmative observations, calculated as the ratio of "yes" responses to the total responses. Education specialists from Ilia State University conducted observations using this observation tool, involving 346 teachers from the 15 pilot schools.

The research revealed several findings: 1) Promotion of social-emotional competencies scored lower compared to other sections; 2) Grades 3 and 4 recorded higher scores in all areas compared to grades 1-2 and 5-6, with Grade 5 scoring the lowest in all sections; 3) The lowest scores were found in assessing students with special needs.

Keywords: MTSS, Tier 1, Teacher Observation.